**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**აკადემიური საბჭო**

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/77

ქ. ბათუმი 06 აგვისტო, 2021 წ.

**ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 02 აგვისტოს №01-02/126 ბრძანებით გამოცხადებული ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის შედეგად 65 წელს მიღწეული პირების არჩევის შესაძლებლობის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, 33-35-ე მუხლების, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მარინა ქორიძის (MES 6 21 0000774910, 05.08.2021) და ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის გოჩა ჩავლეშვილის (MES 5 21 0000478189, 08.07.2021) მოხსენებითი ბარათების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დასაშვებად ჩაითვალოს ბსუ-ს რექტორის **2021 წლის 02 აგვისტოს №01-02/126 ბრძანებით** გამოცხადებულ ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევ ღია კონკურსში 65 წელს მიღწეული ან მეტი ასაკის პირების არჩევა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე და ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე.
2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (აკადემიური საბჭოს აქტების და კონკურსების ველებში), რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტსა, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**